

შპს „NEW TECHNIC“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარებში).

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

შპს „NEW TECHNIC“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ. ბათუმი

2022

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „NEW TECHNIC“

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება-----	3
მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება -----	4
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება -----	4
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება -----	5
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები -----	6-14
შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია -----	6
შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი -----	6
შენიშვნა 3. სააღრიცხვო პოლიტიკა -----	6-9
შენიშვნა 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები	10
შენიშვნა 1. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები -----	10
შენიშვნა 2. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები -----	10
შენიშვნა 3. მარაგი -----	10
შენიშვნა 4. ძირითადი საშუალებები	11-12
შენიშვნა 5. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12
შენიშვნა 6. საგადასახადო და სხვა ვალდებულებები	12
შენიშვნა 7. სასესხო ვალდებულებები -----	12
შენიშვნა 8. კაპიტალის სტრუქტურა და ცვლილება	12
შენიშვნა 9. ამონაგები -----	13
შენიშვნა 10. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	13
შენიშვნა 11. ხარჯები -----	13-14
შენიშვნა 12. მოგება განაწილებამდე	14
შენიშვნა 13. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები -----	14
შენიშვნა 14. მსს ფასს-ზე გადასვლა-----	14
შენიშვნა 15. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება-----	14

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

	31.12.2022	31.12.2021
	საანგარიშგებო პერიოდის ზოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ზოლო თარიღი
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	697 251	469 013
საეჭრო და სხვა მოთხოვნები	1 886 318	1 707 497
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	1 233 483	1 283 394
მარაგები		
- მზა პროდუქცია		
- სხვა	12 341 805	12 022 486
საინვესტიციო ქონება		
სხვა მიმდინარე აქტივები	600	5 000
ბიოლოგიური აქტივები		
- თვითღირებულების მოდელით		
- გადაფასების მოდელით		
გუდვილი		
სხვა არამატერიალური აქტივები	551	551
ძირითადი საშუალებები	2 382 165	2 393 150
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		
სხვა გრძელვადიანი აქტივები		
სულ აქტივები	18 542 173	17 881 091
ვალდებულებები		
ფინანსური იჯარის ვალდებულება		
საეჭრო ვალდებულებები	726 813	608 614
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		
საგადასახადო ვალდებულებები	-	949
გამოუმტკიცებელი შემოსავალი		
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	1 873 059	4 071 782
მიღებული გრანტები		
სხვა ვალდებულებები		
სულ ვალდებულებები	2 599 872	4 681 345
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		
საემისიო შემოსავალი		
გამოსყიდული საკუთარი აქციები		
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	15 942 301	13 200 046
გადაფასების რეზერვი		
სხვა რეზერვები		
სულ საკუთარი კაპიტალი	15 942 301	13 200 046
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	18 542 173	17 881 391

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

	31.12.2022	31.12.2021
		საანგარიშგებო პერიოდი
ნეტო ამონაგები	13 684 609	16 450 296
საქონლის გაყიდვიდან	13 684 609	16 450 296
მომსახურების გაწვიდან		
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
სხვა		
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(10 481 906)	(12 080 770)
საწესი მარაგები		
მარაგების შესყიდვა		
გადამუშავების დანახარჯები		
საბოლოო მარაგები		
საერთო მოგება	3 202 703	4 369 526
სხვა შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	(247 434)	(246 974)
ცვთა და ამორტიზაცია	(10 886)	(10 636)
საპროცენტო შემოსავალი:		
საპროცენტო ხარჯი :	(149 329)	(194 605)
იჯარის ხარჯი	(192 871)	(204 332)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(89 139)	(48 282)
სულ საოპერაციო ხარჯები	(689 659)	(704 829)
საოპერაციო მოგება	2 513 044	3 664 697
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები		
მარაგები		
სხვა არაფინანსური აქტივები		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	580 205	
მიღებული დივიდენდები		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	120 228	169 646
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	3 213 477	3 834 343
მოგების გადასახადი	(185 615)	(25 707)
მოგება/(ზარალი)	3 027 862	3 808 636
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რევერსი		
სხვა		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	3 027 862	3 808 636
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	13 200 046	9 547 199
ახალი აქტივების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)		
განაწილება მესაკუთრეებს (მათ შორის დივიდენდი)	(285 607)	(155 789)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	3 027 862	3 808 636
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	15 942 301	13 200 046

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი

	31.12.2022	31.12.2021
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2 896 677	502 344
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	98	(15 652)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(2 668 537)	(537 572)
ფულადი ნაკადების ნეტო ზრდა (კლება)	228 238	(51 880)
საწყისი ბალანსი ფული და ფულთან გათანაბრებული ექვივალენტი	469 013	519 893
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამოწვეული ცვლილება		
საბოლოო ბალანსი ფული და ფულთან გათანაბრებული ექვივალენტი	697 251	469 013

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „NEW TECHNIC“, რეგისტრირებული 2010 წლის 7 მარტს იურიდიული და ფაქტობრივი მისამართით: საქართველო, ბათუმი, ა.აბაშიძის ქ. #12, საწარმო დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელია ფიზიკური პირი გერონტი დიასამიძე.

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა: საბითუმო ვაჭრობა სხვა მანქანებით და მოწყობილობებით, საბითუმო ვაჭრობა სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, მოწყობილობებით და საკუთნობით.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2022 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს საბაზის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საწარმომ პირველად გამოიყენა მსს ფასს-ი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება არის მსს ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება.

ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტში წარმოდგენილი წინა შესადარისი პერიოდის შესადარი ინფორმაციის გათვალისწინებით მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2017 წლის პირველი იანვარი.

შენიშვნა 3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ამონაგების აღიარება.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლის გადავადების შემთხვევაში, თუ შეთანხმება, თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ამონაგების აღიარება ხდება მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულებით, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით. გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით,

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან მიღებული სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირითადი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მიღებულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი ვალდებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით, თუ შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას არ წარმოადგენს.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისათვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამომწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება.

ფინანსური აქტივისათვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისათვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასება (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებით სიდიდე) შორის, რომელსაც საწარმო მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევასდმი.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი)

(ა) მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;

(ბ) ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;

(გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რისი ვალდებულებაც საწარმომ აიღო შეენის მომენტში, ან შემდეგში.

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

ვინაიდან მოსალოდნელია გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა გადააჭარბებს აქტივისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებას, არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთები:

• შენობები და ნაგებობები	15 - 20 წელი
• მანქანა დანადგარები	5 - 10 წელი
• ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	5 – 15 წელი
• სატრანსპორტო საშუალებები	5 - 10 წელი
• სხვა ძირითადი საშუალებები	5 - 10 წელი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვლება, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობას და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულები სადა გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

აქტივების გაუფასურება.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარებში).

იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიანი გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოს არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შევსებულების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისა აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცემი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწოების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანდ გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდი, როდესაც წარმოიშობა.

ქვემოთ მოცემულია სებ-ის ოფიციალური სავალუტო კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.
ლარი/აშშ დოლარი	2.7020	3.0976
ლარი/ევრო	2.8844	3.5040
ლარი/თურქული ლირა	0.1443	0.2379

მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა და დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით).

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/ მომსახურების გაწევა ან/ და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

შენიშვნა 4. ძირითადი დაშვებები და განსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა.

საწარმო აკვირდება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ცვლილება აქტივის გამოყენების წესში, მნიშვნელოვანი გაუთვალისწინებელი ფიზიკური ცვლელის, ტექნოლოგიური მიღწევები და საბაზრო ფასების ცვლილებები, რომელიც შეიძლება მიანიშნებდეს, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადა შეიცვალა უკანასკნელი საანგარიშგებო თარიღის შემდეგ. თუ არსებობს რაიმე მსგავსი ნიშნები, საწარმო გადახედავს წინა შეფასებებს და თუ ახლანდელი შეფასებები მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისგან, შეცვლის აქტივის ნარჩენ ღირებულებას, ცვეთის მეთოდს ან სასარგებლო მომსახურების ვადას. საწარმომ აქტივის ნარჩენი ღირებულების, ცვეთის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება ასახავს, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილებას.

არსებითი ფინანსური ანგარიშგებები (მოცემულია ლარში)

შენიშვნა 1. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

შინაარსი	31.12.2022 წელი	31.12.2021 წელი
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	33 878	80 880
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	651 966	280 652
უცხოელი ვალუტა რეზიდენტ ბანკში	11 407	107 481
სულ:	697 251	469 013

შენიშვნა 2. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

შინაარსი	31.12.2022 წელი	31.12.2021 წელი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1 886 318	1 707 695
გადახდილი ავანსები	1 233 483	1 283 394
სხვა მიმდინარე აქტივები	600	5 000
სულ:	3 120 401	2 996 390

შენიშვნა 3. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

შინაარსი	31.12.2022 წელი	31.12.2021 წელი
საქონელი	12 328 391	12 014 323
ნედლეული და მასალები	2 435	2 435
მზა პროდუქცია	32	32
სხვა სასაქონლო მატერ. მარაგები	10 947	5 697
სულ:	12 341 805	12 022 486

შენიშვნა 4. ძირითადი საშუალებები

	ობიექტის დასახელება	ნაშთი 31.12.2022	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.2021
	შექმნის ღირებულება				
1	მიწა	2 326 980			2 326 980
2	დაუმთავრებელი მშენებლობა				
3	შენობა-ნაგებობა	5932			5932
4	მანქანა- დანადგარები	25 569			25 569
5	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	45 499		99	45 598
	სატრანსპორტო საშუალებები	33 000			33 000
	ჯამი	2 436 980	0	99	2 437 079

	ობიექტის დასახელება	ნაშთი 31.12.2022	ცვეთის დარიცხვა	ცვეთის ჩამოწერა	ნაშთი 31.12.2021
	ცვეთა				
1	მიწა				
2	შენობა-ნაგებობა	1 778	395		1 383
3	მანქანა- დანადგარები	17 259	2 557		14702
5	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	15 153	3 809		11 344
	სატრანსპორტო საშუალებები	20 625	4 125		16500
	ჯამი	54 815	10 886	0	43 929

	საბალანსო ღირებულება	2 382 165			2 393 150
	ობიექტის დასახელება	ნაშთი 31.12.2022	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.2021
	შექმნის ღირებულება				
1	ლიცენზიები				
2	პროგრამები				
3	სხვა არამატერიალური აქტივები	551			551
	ჯამი	551	0	0	551

შპს „NEW TECHNIC“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარებში).

	ობიექტის დასახელება	ნაშთი 31.12.2022	ცვეთის დარიცხვა	ცვეთის ჩამოწერა	ნაშთი 31.12.2021
	ცვეთა				
1	ლიცენზიები				
2	პროგრამები				
3	სხვა არამატერიალური აქტივები	0	0		0
	ჯამი	0		0	0
	საბალანსო ღირებულება	551		0	551

შენიშვნა 5. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

შინაარსი	31.12.2022 წელი	31.12.2021 წელი
ვალდებულებები შემენილი საქონლიდან და მომსახურებიდან	726 813	608 314
გადასახდელი ხელფასები	0	0
სულ:	0	608 614

შენიშვნა 6. საგადასახადო და სხვა ვალდებულებები

შინაარსი	31.12.2022 წელი	31.12.2021 წელი
საგადასახადო ვალდებულებები	0	949
სხვა ვალდებულებები	0	0
სულ:	0	949

შენიშვნა 7. სასესხო ვალდებულებები

შინაარსი	31.12.2022 წელი	31.12.2021 წელი
ბანკის სესხი გრძელვადიანი	1 873 059	4 071 782
სულ:	1 873 059	4 071 782

შენიშვნა 8. კაპიტალის სტრუქტურა და ცვლილება

შინაარსი	31.12.2022 წელი	31.12.2021 წელი
დამფუძნებლის (საწესდებო) კაპიტალი	0	0
გაუნაწილებელი (დაგროვებული) მოგება	15 942 301	13 200 046
სულ:	15 942 301	13 200 046

შპს „NEW TECHNIC“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარებში).

შენიშვნა 9. ამონაგები

საოპერაციო შემოსავლები

შემოსავლები	2022 წელი	2021 წელი
საქონლის რეალიზაცია	13 684 609	16 450 296
სხვა შემოსავლები (მომსახურებიდან)		
სულ:	13 684 609	16 450 296

არასაოპერაციო შემოსავლები

შემოსავლები	2022 წელი	2021 წელი
ვალუტის გადაფასებით მიღებული შემოსავალი	704 486	5 733
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	155 104	588 563
სულ:	859 590	594 296

შენიშვნა 10. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

შინაარსი	2022 წელი	2021 წელი
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	10 481 906	12 080 770
სულ:	10 481 906	12 080 770

შენიშვნა 11. ხარჯები

1. საოპერაციო ხარჯები

დანახარჯები	2022 წელი	2021 წელი
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები	247 434	246 974
საბანკო მომსახურება	39 276	30 245
იჯარის ხარჯი	192 871	204 332
ტრანსპორტირების ხარჯები	7 310	3 143
რეკლამის ხარჯი	0	0
ცვეთა და ამორტიზაცია	10 886	10 636
საექსპლოატაციო ხარჯები	1 146	2 139
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	41 407	12 755
სულ ხარჯები:	540 330	510 224

2. არასაოპერაციო ხარჯები

დანახარჯები	2022 წელი	2021 წელი
საპროცენტო ხარჯი	149 329	194 605
მოგების გადასახადი	185 615	25 707
ვალუტის გადაფასებით მიღებული ხარჯი	124 281	131 559
სხვა არასაოპერაციო ხარი	34 876	293 091
სულ ხარჯები:	494 101	644 962

შენიშვნა 12. მოგება განაწილებამდე

შედეგი	2022 წელი	2021 წელი
სულ შემოსულობა	14 544 199	17 044 592
სულ ხარჯები	(11 516 337)	(13 235 956)
სულ მოგება:	3 027 862	3 808 636

შენიშვნა 13. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები.

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ არ მომხდარა რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენები.

შენიშვნა 14. მსს ფასს-ზე გადასვლა

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც მომზადდა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოყენებულია მსს ფასს სტადარტზე გადასვლის თარიღიდან. საწარმოს წინა პერიოდებში საერთოდ არ წარუდგენია ფინანსური ანგარიშგება. შესაბამისად, მსს ფასს სტადარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემო-ებების შედეგად არ წარმოქმნილა კორექტირებების აუცილებლობა.

შენიშვნა 15. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორთა საბჭომ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2023 წლის 25 ნოემბერს.

ხელმძღვანელობის სახელით:

ზვიად წილოსანი
დირექტორი
2023 წლის 25 ნოემბერი